კვირა, 20 მაისი 1907 წ.

26

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 108

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

21/_i_-65
1

კვირას, 27 ამა მაისს.

პალერმოს ბაღში (მიხეილის ქ., იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება:

## სეირნობა და ლატარია-ალეგრი

წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობის დროს გამართული იქნება სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისა და დიდებისათვის (ლოტო, დოლი, ანკესი და სხვა); დაუკრავს ორი ორკესტრი და საზანდარი, იმღერებს ქართული ხორო.

**საზოგადოების კანცელარიაში მიიღება შემოწირული ნივთები ალეგრისათვის.**

სეირნობის გამგენი სთხოვენ „საზოგადოების“ აგენტებს, მიაწოდონ პროვინციებიდან შემოწირულებანი. (8—5)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანის და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ე. ფაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—55)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12-ახალი მდივნისა. (35)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**
იღებს სახებით, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, სახ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—110)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ცაციაშვილისა. (25—ფ.—24)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—107

**ქუთაისში**
ექიმი მაჭიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ქიშკარიდან. (60—ფოს.—11)

**ახალი წიგნი**
დაიბეჭდა და გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად
**ახალი ისტორიული მონოგრაფია**

## ამბოხება კახეთისა 1812 წ.

ა. ფრონელისა.

ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების“ მაღაზიას. იგი ფას დიდებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ.“ (10—უ.—10)

**ქართული წარმოდგენა**
**საარტისტო საზოგადოების თეატრში.**
სამშაბათს, 22 მაისს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ, სცენის მოყვარეთა მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

## სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქ. ბეიერლეინისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. ამირაჯიბი, ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, ი. ზურაბიშვილი, ა. იმედაშვილი, ივანიძე, მატარაძე, სვიმონიძე, ურუშაძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(3—2) რეჟისორი კ. შათირიშვილი.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირას 3—4 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ცნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**არმოლაევი**—შინ. და ბავშ. ყოველ. 11—12 ს.
**ასპიზოვი**—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდ..
**ხოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუიმინი**—თვალ. ორშ., ოთხ. პარ. 12—1 ს.
**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თეთრამე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—2 ს.
**ბოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მოსნე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშორთავა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**პივარსკი**, **რუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—92)

## გამგე კომიტეტი

**ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის** აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის მაისის 20-სა, დილის 11 საათზე, ტფ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს სადგომში **დანიშნულია წლიური საზოგადო კრება** საზოგადოების წევრთა. განსახილველია:

1. ანგარიში საზოგადოების 1906 წ. მოქმედებისა.
2. 1907 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.
3. მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის შენობის დასრულების შესახებ.
4. მისივე მოხსენება „სკრის“ მამულის შესახებ.
5. მისივე მოხსენება გიმნაზიის ორგანიზაციისა და მაზრებში მოსამზადებელ კლასთა დაარსების შესახებ.
6. საზოგადოების წესდების შეცვლის პროექტი. (2—6—2)

ქალაქის სასანიტარო სამკურნალო საბჭო.

აუწყებს მცხოვრებთ, რომ ამ ბოლო დროს ქალაქში გახშირდა **ყვავილი** და ზოგ ადგილას აღმოჩნდა კიდეც ყვავილის ეპიდემიური ბუდეები. ამიტომ საბჭო ურჩევს მცხოვრებთ, მიმართონ **აცრას და რევაქცინაციას** (მეორედ აცრა, თუ პირველ აცრის შემდეგ შვიდი წელიწადია გასული), რომელიც საუკეთესო საშუალებაა ყვავილის წინააღმდეგ. ღარიბს ყვავილს **უფულოდ** უცრიან ქალაქის ყველა სამკურნალოში: ცენტრალურ, კუკიისა, დიდუბისა, ავლაბრისა და ხარფუხისაში დილის 9-დან 11 საათ. უცრიან უფასოდ აგრეთვე ქალაქის ექიმები თავიანთ რაიონებში. ყვავილით ავადმყოფებს იღებენ ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა ბარაკებში (ავლაბარი, ტროიცკის პოსელენიე, № 466). **ექიმობა უფასოა.** გადამდებ სენით ავადმყოფთა გადასაყვანად საავადმყოფოში ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან (ტელეფონი № 172) არის განსაკუთრებული ეტლი, რომლითაც ყველას შეუძლიან უფასოდ ისარგებლოს.

საბჭოს თავმჯდომარე **გ. ნ. სტეფანოვი.**
(3—2) მდივანი **ტ. ჩარაზოვი.**

## ისარგებლეთ შემთხვევით

## საფაქრო სახლმა

## „ძმანი აკოფჯანოვები და სარქისიანცი“,

რომელსაც აქვს დამზადებულ ტანისამოსის (ქალებისა და ბავშვების) მაღაზიები ტფილისში:

**1. გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში „ექსელანსის“ ფირმით.**

**2. ნიკოლოოზის ხიდზე, ქამოევის სახლში.**

აგრეთვე განყოფილებანი ბაქოსა ეკატერინოდარში, გადასწყვიტა შეამციროს მაღაზიები, ამიტომ უკანასკნელ სეზონის მთელ საქონელს, **300,000** მანეთისას, ჰყიდის ნახევარ ფასად.

მთელი საქონელი დამზადებულია საკუთარ ფაბრიკაში ქ. ოდესსაში, განსაკუთრებულ შეკვეთით, რუსულ და საზღვარ-გარეთელ მატერ ისაგან.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ფასები აღნიშნულია იარლიკზე ლურჯის კარანდაშით და ვაჭრობა არ შეიძლება. მყიდველს ნება ეძლევა იმავე დღეს დააბრუნოს ნაყიდი საქონელი და მიიღოს ფული, თუ სხვა ფირმაში უფრო იაფი აღმოჩნდება საქონელი.

**მაღაზიები ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე.**

(10—83—6)



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—16)

## სკოლა

**ქალ. დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა**

ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში. მოსწავლეთა მიღება დაიწყება პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ ბავშვებს საცხოვრებლად. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ი. გოგიჩაიშვილს ამ ადრესით:

Товарищество „Ректификатъ“, Авчальская улица. Телефонъ № 54. (4—100—3)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება

(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)

**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 8)

## ტფილისი, 20 მაისი

დღეისთვის ღარიბ თავად-აზნაურ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების წლიური კრებაა დანიშნული. ამ საზოგადოების მოქმედება დღევანდლამდე მარტოოდენ სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენახვა იყო, წელს, ე. ი. 1906 წლის სექტემბრიდან კი ამ საზოგადოებამ დაარსა აგრეთვე ქალების სკოლა. საზოგადოების კომიტეტს დღევანდელ კრების განსახილველ საგანთა სიაში მოუქცევია სხვათა შორის მოხსენება მაზრებში მოსამზადებელ კლასთა დაარსების შესახებ. ამ გვარად საზოგადოების მოქმედება რაოდენამდე იზრდება და თანდათან უფრო ფართოდ იზრდება იმ ინტერესთა წრე, რომლებსაც იგი აკმაყოფილებს. ცხადია, ამასთანავე ერთად უნდა გაიზარდოს ინტერესიც თვით საზოგადოების არსებობისადმი.

მართალია, საზოგადოებას წოდებრივი სახელწოდება აქვს, წოდებრივ სახელს ატარებენ იმისი სკოლებიც, მაგრამ ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებითი პირობების გამო ეს წოდებრივი სახელწოდებანი სრულიად ხელს არ უშლიან მის დაწესებულებათა დემოკრატიზმს. ჩვენი თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი ქონებრივად ისე დაუძლურებულია, რომ „ღარიბ თავად-აზნაურ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების“ მოქმედება ბუნებრივად და აუცილებლივ დემოკრატიულია. დღევანდლამდე ეს დემოკრატიული ხასიათი საზოგადოების მოქმედებას იმაზე ემჩნეოდა, რომ მის სკოლაში ხელმოკლე მშობლების შვილები იზრდებოდნენ, თუმცა კი თვით აღზრდა დემოკრატიული ხასიათისა არ იყო: სკოლა ამზადებდა მოწაფეებს ჯერ უნივერსიტეტში და შემდეგ სადმე სამსახურში შესასვლელად, რათა ღარიბი დედ-მამის შვილი წელში გამართული და პრივილეგიურ კლასსის ნამდვილი წევრი შექმნილიყო. სკოლა და სასკოლო სწავლა მხოლოდ საშუალება იყო პრივილეგიების შესაძენად ან აღსადგენად. ამავე სახელმძღვანელო აზრზეა აშენებული აქნობამდე ყველა საშუალო სკოლა რუსეთის იმპერიაში.

საერთო პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად აუცილებლად უნდა შეიცვალოს საშუალო სკოლის მდგომარეობაც. ეხლა ის აუცილებლად დემოკრატიული უნდა შეიქნეს თავის შინაარსით და იდეალით. რაც უფრო გამტკიცდება ახალი პოლიტიკური წესწყობილება, მით უფრო დაეკარგება აზრი ბავშვების აღზრდას პრივილეგიურ მდგომარეობის დასაკავებლად. მთავრობისაგან დანიშნულ მოხელეების რიცხვი თანდათან შემცირდება, მათ ადგილს თვითმმართველ ხალხისაგან არჩეული პირები დაიჭერენ; არჩევნებში გამარჯვებისათვის კი თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დიპლომებს და პირიქით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოსაყენ ცოდნას. ასეთი ევოლიუცია უძევს წინ რუსეთს და, უეჭველია, ამ მიმართულების ხაზზე განვითარდება საქართველოს ცხოვრებაც.

ამის შესაფერად თანამედროვე საშუალო სკოლამ სრულებით უნდა დაჰკარგოს თავისი ძველი მიდრეკილება პრივილეგიების მოპოებისა, იმისი ადგილი მთლად ცოდნის გავრცელებამ უნდა დაიჭიროს. სკოლა თავის ბუნებრივს დანიშნულებას უნდა დაუბრუნდეს; სკოლამ სრულებით უნდა დაივიწყოს, რომ ის პრივილეგიურ სამსახურის მოსაპოებელი იარაღია, და მხოლოდ ის უნდა ახსოვდეს, რომ იგი რეალურ ცოდნის გამავრცელებელი დაწესებულებაა. საშუალო სკოლის დემოკრატიზაცია ისტორიულად ძველი პოლიტიკური რეჟიმის დამხობის ნაყოფი იქნება, არსებითად კი იგი იქნება აღდგენა სკოლის ბუნებრივი დანიშნულებისა.

ასეთი უნდა იყოს სახელმძღვანელო იდეა თანამედროვე საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა. ამ სახელმძღვანელო იდეიდან ლოგიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს მთლიანობა საშუალო სასწავლებლის კურსისა, უარყოფა უმაღლეს სასწავლებლისთვის მოსამზადებელ ხასიათისა, ახალი სია სასწავლო საგნებისა, სადაც უპირატესობა რეალურ ცოდნის საგნებს უნდა ჰქონდეს, გამოყოფა ეხლანდელ საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ და პროგიმნაზიული კლასებისა ცალკე სახალხო სასწავლებლად და მრავალი სხვა.

დღევანდელს კრებაზე საზოგადოებას წარედგინება კომიტეტისაგან შემუშავებული პროექტი გიმნაზიის ორგანიზაციისა. სამწუხაროდ, ეს პროექტი არ იყო გამოცხადებული და ამიტომ იმის შესახებ ეხლა ვერაფერს გადაჭრილს ვერ ვიტყვით. მაგრამ ის კი ცხადია, რომ დღეს სასკოლო საზოგადოებას მეტად რთული და პასუხსაგები საკითხი აქვს გადასაწყვეტი. თუ საზოგადოებამ ისევ საშუალო სკოლის ძველი ორგანიზაცია დასტოვა და დემოკრატიულ პრინციპების თანახმად არ შესცვალა იგი, ამით ღარიბ „თავად-აზნაურ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება“ დაამტკიცებს, რომ ის ეხლა თავის წოდებრივობას ებღაუჭება და იმდენად ქართველ ხალხში განათლების შეტანაზე არა ზრუნავს, რამდენადაც თავად-აზნაურთა უპირატეს მდგომარეობისა და პრივილეგიების შერჩენასა და აღდგენაზე. ქართულ გიმნაზიაში ძველი ორგანიზაციის დატოვებით, რა თქმა უნდა, თვით ქართველი ხალხის დემოკრატიული მოძრაობა არ შეფერხდება, ის სხვა გზასაც იპოვნის დემოკრატიულ სკოლის შესაქმნელად, მაგრამ ის პოზიცია კი, რომელსაც ეხლანდელი სასკოლო საზოგადოება დაიჭერს სკოლის საკითხში, დღევანდელს კრებაზე მაინც ნათლად უნდა გამოირკვეს. ეს აუცილებლად საჭიროა ყველასთვის, ხოლო განსაკუთრებით კი იმ მოღვაწეებისთვის, რომელთაც თავის ცხოვრების მიზნად ქართველ ხალხის ფართო წრეებში საღის განათლების და სწავლის გავრცელება დაუსახავთ.

## სასკოლო საკითხი სათათბიროში.

მკითხველმა იცის, რომ საერო განათლების სამინისტრომ საყოველთაო განათლების კანონ-პროექტი შეიტანა სათათბიროში: ამის გამო ხანგრძლივი კამათი ასტყდა დეპუტატებს შორის და არ დარჩენილა ხალხი, რომ იმის წარმომადგენელს ხმა მაღლა არ დაეგმოს ეხლანდელი სისტემა სახალხო განათლებისა, სასტიკად არ გაეკიცხოს სკოლის გამათახსირებელი და გამრყვნელი პოლიტიკა ეხლანდელ მთავრობისა.

სდუმდნენ მხოლოდ ქართველი დეპუტატები; კრინტი არ დასძრეს ჩვენებურ სკოლის უვარგისობაზე, მაშინ როდესაც პოლონელი, თათარი, მალოროსი, ლატიში, ესტონელი, სომეხი გულის სიღრმიდან გოდებდნენ სკოლის რუსიფიკაციის ბუდედ და იარაღად გადაქცევას. თავის უადგილო დუმილით ქართველმა დეპუტატებმა ხელი დააფარეს დღევანდელ ჩვენებურ სკოლის გახრწნილებას და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ხალხის ინტერესების შეუგნებელი ყალბი წარმომადგენელნი არიან,

სულ სხვა გვარად იქცევიან დანარჩენ ხალხების წარმომადგენლები. წმინდა წყლის ნაციონალისტებიც კი მეტ გულმტკივნეულობას იჩენენ ხალხის იმ ინტერესებისადმი, რომელსაც სახალხო განათლების საქმე შეიცავს.

პოლონელ კოლოს შემდეგი წინადადება შეუტანია სათათბიროში არსებულ სასკოლო კანონების შესაცვლელად, შესავსებლად და ზოგის მოსასპობად, მიღებული უნდა იქნას შემდეგი დროებითი წესები:

1. 1907—1908 სამოსწავლო წლის დაწყებისათანავე ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ (დაბალ, საშუალო და მაღალ) სასწავლებლებში პოლონეთში პოლონურ ენაზე უნდა იყოს სწავლება.

2. რუს მოსწავლეთათვის უნდა დაარსდეს საგმაო რიცხვი საშუალო და დაბალ სკოლებისა.

3. იმ მაზრებში, სადაც ლიტველები და მალოროსები სცხოვრობენ, საშუალო და დაბალ სკოლებში სამშობლო ენაზე უნდა იყოს სწავლება.

4. რუსული ენა სავალდებულო საგანია პოლონურ სკოლებში.

5. კერძო და სარწმუნოებრივ სკოლებში სასწავლო ენას დამაარსებელნი ირჩევენ.

6. სკოლებში მიიღებიან ყველანი სარწმუნოების მიუხედავად.

7. პოლონურ სკოლების მასწავლებლობა შეუძლიანთ საზღვარ გარეთის დიპლომის პატრონებსა და სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომებს.

8. ყველა კანონი, რომელიც კი ეწინააღმდეგება ამ დროებით წესებს, გაუქმებულია.

როგორც მკითხველი ჰხედავს, კოლოს მოთხოვნას სარჩულად უდევს საღი პედაგოგია, ყველასაგან მიღებული და საანბანო ჭეშმარიტებად მიჩნეული, გარდა, რასაკვირველია, უკულმართებისა, რომელთაც ხალხის განათლების საქმე იმდენად ეინტერესებათ, რამდენადაც შარშანდელი თოვლი; არავითარი პარტიული ერფერი ამ მოთხოვნას არა აქვს; იგი პედაგოგიურ ჭეშმარიტებაზეა დამყარებული და სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის, რა მიმართულებასაც უნდა ეკუთნოდეს კაცი. ჩვენ დეპუტატებსაც შეეძლოთ თავიანთ პროგრამის შეუბღალავად მგზავსი რამ მოეთხოვათ, მაგრამ ამას ხალხის ინტერესების შეგნება უნდა და ეს არის, რომ აკლიათ და რაღაც ტიკინებად ხდის მათ სრულიად რუსეთის ს. დ. პ. ც. კომიტეტის ხელში. **ვ.**

## ბ-ნ ყიფიანის პიესის გამო

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ტიალდება. თან-და-თან იგი რაღაც ნაოხარს ემზგავსება. მწერლების შემოქმედებითი ნიჭი სჭკნება გაუფურჩქვნელად. სდნება უდროოდ. არც პოლიტიკურ აზრის განცხოველება, არც ხალხის სოციალური მოძრაობა, არც ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ჩვენს მწერლებს არასა ჰრგებს, პირიქით ახალი ცხოვრების გავლენით ქართული კალამი თითქოს უფრო ჩლუნგდება, უფრო ტლანქდება. ჩვენი მწერლობა საშინელს კრიზისს განიცდის.

ხალხი კი რიგიან ქართული წიგნის წყურვილით იხრჩვის. წყურვილის მოსაკლავად იგი ძალაუნებურად ეწაფება იმ წუმპეს და ტალახს, რომელიც დღეს ქართულ მწერლობის წალკოტის მაგიერობას ეწევა ირყვნება გემოვნება, ილუპება ხელთუქმნელი სიმდიდრე, შექმნილი ბარათაშვილის, ორბელიანის, ჭავჭავაძის, აკაკის და ხხვების შრომით, ილახება მშვენიერების გრძნობა.

მთელი ცხოვრება შეირყა ძირიან-ფესვიანად, ახალი და ფართო ჰორიზონტები გაიხსნა მთელი ქვეყნის წინაშე, ყველა აფრთოვანებულია, იშვიათი და ღრმა რამ ცვლილება ჰხდება ქართველი ხალხის მთელს სულიერს არსებაში, მაგრამ ქართველს მწერლებს წინანდელზე მეტად ჩამოუყრიათ ფრთები, წინანდელზე მეტად დაძაბუნებულან და ისევ ძველს მცონარეობას განაგრძობენ. არც ჩვენი დროის ადამიანის სულისკვეთება, არც ახალი იდეალები, არც უჩვეო თავგანწირულება—არაფერი არა მოქმედობს მათზე, ვერაფერი ვერ იწვევს მათის მოქმედების განცხოველებას.

რატომ, რა მიზეზია, საიდან წარმოსდგება უმწეო გათახსირება?

იქიდან და მხოლოდ იქიდან, რომ ქართველი მწერალი ისე, როგორც მთლად ქართველი ინტელიგენცია, განვითარების და ცოდნის მხრივ გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე სდგას, ვიდრე ეს საჭიროა იმისთვის, რომ მართლა იგი ქართველ ხალხის გონიერების (ინტელიგენციის) როლს ასრულებდეს, შეესმინებოდეს იმისი ავ-კარგი, იტანჯებოდეს წრფელის და მთელის გულით იმის ტნჯვით, ხარობდეს იმის სიხარულით, ჰსუნთქავდეს იმის იდეალებით და წილს იდებდეს იმის სულის მხნეობაში. ის ადამიანები, რომელთაც რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი უსწავლიათ, ორიოდე მსუბუქი წიგნაკი წაუკითხავთ, გარეგნულად უთვალ-თვალიათ ჩვენი ცხოვრებისათვის, მაგრამ საფუძვლიანად არც არაფერი შეუსწავლიათ და არც არაფერს სწავლობენ, ქართველი ხალხის სულის სიღრმეში არ ჩაუხედნიათ, იქ ჩამარხული მარგალიტები არ უძებნიათ,—ასეთი ადამიანები, რაც უნდა დიპლომიანები იყვნენ და ბუნებითი ნიჭით მდიდარნი, ყალბ ინტელიგენტობას ვერ გასცდებიან, ხოლო ამ წრიდან გამოსული სიტყვა-კაზმული მწერლები კი მწერლობის კარიკატურას თუ, თორემ ნამდვილ მწერლობას ვერ აცოცხლებენ.

ეს მწარე ფიქრები ერთხელ და ორჯელ არ მოგვსვლია ჩვენ აზრად უკანასკნელ წლების განმავლობაში, ერთხელ და ორჯელ არ დაგვღონებია გული ქართულ მწერლობის ახალ ნაწარმოებთა გაცნობის დროს, მაგრამ—მართალი მოგახსენოთ, ამ აზრებს ისე არც ერთხელ რა დაუტანჯივართ, როგორც ოთხშაბათს საღამოს, როდესაც ბ. ნ სვ. ყიფიანის პიესას ვისმენდით საარტისტო საზოგადოების თეატრში.

ნიჭიერი მწერალი, მდიდარი თემა, დიდ-ძალ საზოგადოება — ყველაფერი გულ გვიხალისებდა, იმედს გვ ძლევდა... მაგრამ აიხადა ფარდა და ჩვენი მოლოდინი ისე დადნა, როგორც შარშანდელი თოვლი. ადამიანთა ნაცვლად—სცენაზე ადამიანთა აჩრდილები ლაპარაკობენ: ღრმა და ფართო სახალხო დრამის მომქმედნი პირნი იმდენად ცოცხალ ადამიანებს არა ჰგვანან, რომდენადაც ტიკინებს; საშინელ დრამატიულს მდგომარეობაში მყოფნი— ისინი თითქოს არც არაფერს ფიქრობენ, არც არა სულის-კვეთებას განიცდიან; ასე გგონიათ, ხელში გაზეთის ფურცლები უჭირავთ და იმის კითხვაში ვარჯიშობენ, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს ბ-ნ ყიფიანის გმირების დიალოგები და გრძელი არქაიული მონოლოგები. ჰგრძნობთ, ჰხედავთ, რომ ეს საშინელი სიყალბეა, შეუწყნარებელი კარიკატურაა დიდებულის სახალხო ბრძოლისა. ყველაფერი შაბლონურად ჰხდება, სწორედ ისე როგორც კორესპონდენტები სწერენ: ჯერ პროპაგანდა, შემდეგ ბოიკოტი, მერე კომუნალური თვითმმართველობა და სამართალი და ბოლოს დამსჯელი რაზმი. არავითარი ნიშან-წყალი იმ მძლეთა-მძლე ძალისა, რომელიც სასოწარკვეთილ ხალხის თავგანწირულ ბრძოლას იწვევს. თითქოს ბრძოლა კი არა, ეს რაღაც ახირებული თამაშია, გაშმაგებული ხალხის ხუმრობაა, რომელიც უფროსებს არ მოსწონთ და ამიტომ სასჯელს უწესებენ მას.

ამ საერთო ულაზათობის მიუხედავად, შიგა და შიგ ისეთ მომენტებს ჰხედავთ, რომელნიც გულს ალბობენ. ბოიკოტის დასასურათებლად, მაგ., მშვენიერი მომენტია შერჩეული: სააღდგომო დღესასწაული, უმოსამსახუროდ დარჩენილი თავადის სახლკარი, გლეხების მოლოცვა, გალაღებული კნეინა, რომელსაც ვერაფრით ვერ შეუგნია, რა ჰხდება იმის გარშემო და თავის შეუსმენლობას ებრძვის ხან სიკაპასით და ხან სიამაყით; განხეთქილება ოჯახში იდეიურს ნიადაგზე და ბრძოლა ახალგაზრდა ქალისა თავისიანებთან. ეს და მრავალი სხვა ადგილები ბ-ნ ყიფიანის „სოფლისა“ საკმაოდ ნათლად ჰმოწმობენ, რომ იმის ნაწარმოების უვარგისობა ნიჭის ბრალი არაა. პირიქით, რაც ნიჭისაგან მოითხოვება— ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი უხვად არის, მაგრამ ნიჭი რა შუაშია, თუ ბ-ნი ყიფიანი მარტო ცხოვრების ზედაპირს უცქერის და შიგნით კი არ იყურება; რა ნიჭის ბრალია, თუ ბ-ნ ყიფიანს ადამიანის სულის სიღრმეში არ ჩაუხედნია; რა ნიჭის ბრალია, თუ ბ-ნ ყიფიანს ცოცხალი დრამის საერთო ძაფი ვერ უპოვნია... ნიჭის მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე იმისი აღზრდა. ამასთანავე იგი ისეთის თვისებისაა, რომ ან სულ მოკვდება და გათახსირდება, ან კი გაღრმავდება და გაიზრდება. ის ერთს წერტილზე ვერ გაჩერდება, ან წინ უნდა წავიდეს ან უკან, ხოლო რა გზას დაადგება—ეს მთლად გონების სისტემატიურ მუშაობაზეა დამოკიდებული.

უკანასკნელ წლების განმავლობაში ბევრმა ქართველმა მწერალმა მოკლა თავისი ნიჭი იმით, რომ მათს ზანტს გონებას ფიქრი და მუშაობა ეზარებოდა. ბ-ნ ყიფიანის „სოფელი“ ამოწმებს, რომ არც ეს ახალგაზრდა მწერალი უწყობს ხელს თავის ნიჭის განვითარებას და ამიტომ ეს ჩორჩი ნიჭიც დასაჭკნობად არის გამზადებული.

ნუ თუ საკმაოდ ჭკუის მასწავლებელი არ არის ბ-ნთ არაგვისპირელის, ლალიონის, მაქსიმიძის, ადამაშვილის და სხვების მაგალითი, რომ ყიფიანმაც მათ არ მიჰბაძოს? კმარა ამდენი მცონარეობა და ზანტობა! კმარა, რაც ქართველურმა სიზარმაცემ ჩვენი მწერლების ნიჭი მოჰკლა და დაადნო! ახალი ცხოვრება—ქართველ მწერლების სამკალი ყანაა, მაგრამ მარტოოდენ ნიჭი ვერ მოჰმკის მას, თუ ზედ შრომაც არ დაერთო. **ფანგი.**

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სახ. სათათბიროს სხდომა.** 18 მაისს სხდომა დაიწყო გოლოვინის თავმჯდომარეობით. უკამათოდ დაამტკიცეს არჩევნები ტაშკენტისა, ორიოლისა, რიაზანის და სამარის გუბერნიებისა. პოლტავის გუბერნიის არჩევნებმა კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს მილორადოვიჩმა, ნორინმა, ალ. სტახოვიჩმა, ი. გესსენმა, მაკლაკოვმა. საკითხს კენჭი უყარეს და არჩევნები დამტკიცებულად სცნეს.

შემდეგ განიხილეს მთავრობის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი, რომ 1906 წლის 24 დეკემბრის დროებითი კანონი ძალაში დარჩეს. ამ კანონით სისხლის სამართალში უნდა იქნეს მიცემული ყველა, ვინც ან სიტყვით ან ბეჭდვით შეაქებს რაიმე დანაშაულობას. მომხსენებლის პერგამენტის აზრით, ამ კანონ-პროექტით იუსტიციის სამინისტროს სურს ცხოვრებაში გაატაროს სისხლის სამართლის წესდების მე-33 მუხლი, რომელიც ჯერ ძალაში არ შესულა და რომელიც სდევნის დანაშაულობის მაქებ-მადიდებელთ. ამით მთავრობას სურს ერთის მხრივ ეს კანონი შეუსაბამოს ყოველგვარ დანაშაულს, როგორც დიდს, ისე პატარას, მეორე მხრივ—გაარკეცოს სასჯელი ოთხი თვიდან რვა თვემდე დაპატიმრებით. შემდეგ მომხსენებელმა სთქვა: იმ დროს, როცა სახელმწიფო ძირითად განახლებას განიცდის, წვრილმან დანაშაულისათვის სასჯელის გაორკეცება შეუძლებელია. თეორეტიულად რომ გავსაჯოთ, სასჯელი, გადიდება არა სამართლიანობის, არამედ გულ-ფიცხობის აშკარა ნიშანია, რომელიც ურთიერთის (მთავრობა და განმათავისუფლებელი მოძრაობა) ბრძოლით არის გამოწვეული. მომხსენებლის აზრით, კანონ პროექტი უარყოფილ უნდა იქმნას.

ტანცევი არ დაეთანხმა მომხსენებელს. საოცრებააო, სთქვა მან, ჩვენ დროში ულიდეს და შემაძრწუნებელ დანაშაულს ბავშვები სჩადიან, დიდები კი მათ მოქმედებას სიტყვით და კალმით ქებას ასხამენ და ყოველ შემთხვევაში არა ჰკიცხავენო.

იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ლიუცემ კანონ-პროექტს მხარი დაუჭირა. დანაშაულის მაქებ-მადიდებელი ზნეობით მაქეზებელზე შორს არ არისო. დასავლეთ ევროპის კანონმდებლობაც ასე ფიქრობსო.

კუზმინ-ყარავაევმა პასუხი გასცა ტანცევსაც და მინისტრის ამხანაგსაც. იმის აზრით, კანონ-პროექტი არა თუ საუკეთესოა, ლმობიერ კრიტიკასაც ვერ უძლებს. ამ კანონის შემწეობით შეგიძლიანთ დასაჯოთ ყველა, ვინც კრინტს დასძრავს, ან კალამს ხელს მოავლებს და საზოგადო პოლიტიკურ თემაზე ან რაიმეს იტყვის, ან დასწერსო. ორატორმა აუარებელი მაგალითი მოიყვანა.

დარჩა ხუთი ორატორი. წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ უარ ჰყვეს. სხდომა გათავდა 6 საათსა და 4 წუთზე. საღამოს სხდომა საგანგებო პროგრამით მოხდა. დღიურ სხდომის გაგრძელება 21 მაისს მოხდება.

იმავ დღეს საღამოზე სხდომა მოხდა პოზნანსკის თავმჯდომარეობით. მცირე კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ გზათა მინისტრი და ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი ბატოვი, ერთხმად მიიღეს, თანახმად სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის აზრისა, კანონ-პროექტი, რომ ვლადივოსტოკისა და შორეულ აღმოსავლეთის სხვა რუსის ნავთ-სადგურებში დაწესდეს გემების წესიერი მიმოსვლა. ასეთივე მიმოსვლა უნდა დაწესდეს მდ. ამურსა და მის ტოტებს შორის და აგრეთვე ბაიკალის ტბაში. საბიუჯეტო კომისია ამ უკანასკნელ დადგენილების თანახმა არ იყო.

## ახალი ამბავი

✦ **პოლიტიკური საქმე.** ხვალ, 21 მაისისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია პოლიტიკური საქმე ვანო ჩაჩანიძისა, მ. მარუპოვისა, ნ. ოთარიძისა, ა. კეცხოველისა და ვ. მუჩაიძისა, რომელთაც ჰბრალდებათ ქ. გორში სარევოლიუციო ბიუროს შედგენა და ხალხის მოწოდება შეიარაღებულ აჯანყებისათვის; განიხილავენ აგრეთვე საქმეს ზანგურიძისას, ამირალოვისას, ა. ქიტიაშვილისას და შ. ჩარუევისას, რომელთაც ხალხის შესაიარაღებლად ფულის შეგროვება ჰბრალდებათ.

✦ **დამშეულთა დახმარება.** ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ ამ დღეებში მიიღო 1500 მან. ტფილისის საკომერციო ბანკის გამგეობისაგან საქართველოში დამშეულთა დასახმარებლად. ამავე საქმისთვის 250 მან. შესწირა საქველმოქმედო საზოგადოებას სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე ამხანაგობამ.

✦ **რკინის გზა სამხედრო უწყების ხელში** რუსულ გაზეთების სიტყვით, საბოლოოდ გადაუწყვეტიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზა სამხედრო სამინისტროს გადასცენ.

✦ **კახეთის რკინის გზა.** კახეთში რკინის გზის გაყვანის საქმეს, როგორც „კავ“. იუწყება, მინისტრთა საბჭო ამ ცოტა ხანში განიხილავს თურმე.

✦ **საკვირაო სკოლა.** საუნივერსიტეტო საზოგადოების სომხურმა სექციამ დაადგინა, გამართოს საკვირაო სკოლა. სკოლაში მიიღებენ სომხურის ენის შესწავლის მსურველ ქართველებსაც. სკოლაში 40 ყმაწვილზე მეტს მიიღებენ. სკოლა დღეიდანვე გაიხსნება.

✦ **გაზეთი „მიწა“.** გაზეთი „მიწა“ ორი კვირაა არ გამოსულა აგენტურის მიუწდომლობის გამო. 24 ამ თვეს გამოვა მე-19 ნომერი და შემდეგ გაზეთი შეჩერებული იქნება, სანამ არ მოეწყობა აგენტების საქმე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 20 მაისს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ბ. დერჟავინი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას ამ სათაურით: „გაჩენა ოჯახისა და თემებისა კავკასიის ზოგიერთ ერებში“. დასაწყისი 11 საათ.

✦ **ეჩმიაძინის სინოდის პროკურორი.** ტფ. საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი იუზბაშევი, როგორც გავიგეთ, ინიშნება ეჩმიაძინის სინოდის პროკურორად.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: ხუთი წლით იოსებ გოგიტაშვილი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა; სამი წლით მიხეილ ყანდაროვი (იგივე დადიანი), [illegible] ყარამან ხუციშვილი, ისიდორე კორძაია, მიხეილ ჩაჩანიძე, სიმონ ჯაჯანიშვილი, მიხეილ ხუციშვილი, პეტრე პეტრიაშვილი, გრიგოლ ხმალაძე, გ. ლალაშვილი და პეტრე ჩერნიგოვი. ამათ აბრალებენ ბორჯომში პირველ მაისის გაფიცვისათვის აგიტაციას. ტფ. გუბერნიდან იგზავნებიან: ვლად. ცინცაძე, ბალა-ალი-ოღლი და რუსტემ-ოღლი. რევოლვერის ტარებისთვის ორი თვით დააპატიმრეს ვაჭარი მიხეილ გოგიტაშვილი.

✦ **მაჰმადიანთა დრამატიული დასი.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა მაჰმადიანთა საზოგადოების დრამატიული დასი და გამართავს ორს წარმოდგენას თათრულს ენაზე. წარმოადგენენ შილლერის „ავაზაკებს“ და ნარიმანოვის დრამას „ნადირ შაჰს.“

✦ **მომრიგებელი შუამავალი.** ტფ. გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე საგინაშვილი, როგორც გავიგეთ, ინიშნება ტფილისის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, მაჩაბლის ნაცვლად, რომელიც განჯის საგლეხო საკრებულოს წევრად გადაჰყავთ.

✦ **საეთნოგრაფიო საზოგ. წესდება.** ქართულ საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოების დაარსების ინიციატორმა ე. თაყაიშვილმა გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად საზოგადოების წესდების პროექტი.

✦ **დაჭრა და დაპატიმრება.** გოლოვინის პროსპექტზე 18 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ვიღაც ბებუთით შეიარაღებული კაცი შეუვარდა მაღაზიის პატრონს გიულნაზაროვს, ბებუთით დასჭრა ოთხგან, კასიდან 30 მან. გაიტაცა და გაიქცა. ასტყდა ალიაქოთი, მაგრამ პროსპექტზე პოლიციელი არ გამოჩნდა. ორი საათის შემდეგ მოვიდა პოლიციის მეორე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე პოლიციელებით და იქვე გიულნაზაროვის მეზობელ მაღაზიის პატრონთან ავალიანთან შევიდნენ გასაჩხრეკად. მთელი მაღაზია გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. მიუხედავად ამისა პოლიციელებმა ხელოსნები და იქ მყოფნი გარეშე 7 კაცი პოლიციაში წაიყვანეს.

✦ გუშინ ქალაქში ხმა დადიოდა, რომ მოსამსახურე ფარმაცევტების პროფესიონალურმა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა ტეიხეს აფთიაქსაო.

✦ ტფ. ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებათა მოხელეთ 19 მაისს ჯამაგირები ვერ დაურიგა გამგეობამ, რადგანაც ქალაქის კასაში ფული არ იყო.

✦ გედევანოვის ქუჩაზე 15 მაისს ღამე მოკლული აღმოჩნდა ს. ბელიკლიუჩის მცხოვრები კუზნეცოვი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ტფილისის ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტმა თხოვნით მიმართა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომ მან წინადადება შეიტანოს მომავალ კრებაზე, რათა ქართულ სახელმძღვანელოების გამოსაცემად რაიმე თანხა გადასდოს. ეს წინადადება იმდენად საყურადღებოა, რომ ეჭვი არ არის, მრეწველთა კრება საკმაო თანხას გადასდებს სახელმძღვანელოების გამოსაცემად ქართულს ენაზე, რაც ასეთ საჭიროებას წარმოადგენს ქართულ სასწავლებლებისთვის.

✦ სააღგილ-მამულო ბანკის წლიური ანგარიში ჯერ დამთავრებული არ არის და იმისი განხილვა ჯერ ზედამხედველ კომიტეტს არ დაუმთავრებია. ჩვენის ცნობებით, წლიური მოგება უდრის 220 ათას მანეთს; აქედან ბანკის და ქართულ გიმნაზიის შესანახად დახარჯულა 100 ათასი მანეთი. ბანკზე დარჩენილ მამულების დასაფარავად მოგებიდან აპირებენ თურმე გადადებას დაახლოვებით 50 ათას მანეთს და ამ ნაირად საერთო საზოგადო საჭიროების დასაფარავად დარჩება 70.000 მანეთი.

✦ პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ უმაღლესმა მთავრობამ არ შეიწყნარა დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის თხოვნა, მისცემოდა სესხად 15 ათასი მანეთი იმ თანხიდან, რომელიც შეტანილია მეგრელ თავად-აზნაურობისაგან ხაზინაში და რომელიც უდრის 40.000 მანეთს. თავად-აზნაურთა წინამძღოლს აზრადა აქვს თურმე დეპეშით

სთხოვოს ნამესტნიკს, რომ მან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე 15 ათას მანეთის სესხად გაღებაზე. ეს ფული, როგორც ვიცით, თავად-აზნაურობას მიმდინარე საჭიროების დასაფარავად უნდა და უფრო-კი იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურენი, რომელნიც წლობით არ იღებენ ჯამაგირს და დიდს გაჭირვებას განიცდიან.

✦ გენ.-გუბერნატორის ადიუტანტი კოპეიშვილი ქუთაისის გიმნაზიაში სხვებთან ერთად ატესტატზე იჭერს ეგზამენს.

✦ „კოლხიდის" წიგნის მაღაზიის პატრონს ის. კვიცარიძეს მაღაზიის დაკეტვის გამო დეპეშა გაუგზავნია სახელ. სათათბიროს წევრის ჯაფარიძისთვის. აცნობა ისიც, რომ მაღაზიიდან 68 ფუთი წიგნები წაიღეს.

## ვინ არის პროვოკატორი?

სოციალ-დემოკრატიის სახელით მოლაპარაკე „ლახვრის" პუბლიცისტები პროვოკატორებს გვიწოდებენ. იცით, რატომ? იმიტომ რომ ჩვენი გაზეთის საშუალებით ბ. ვასილ კირვალიძე „მოგზაურის" რედაქციის წევრებს შეეკითხა, რა უყავით ის 2411 მანეთი, რომელიც დაზარალებულ ქართველების სასარგებლოდ შევკრიბეთ ქ. ხარბინში და გამოგიგზავნეთო. იმის მაგიერ, რომ გაზეთს „ლახვარს" მხარი დაეჭირა ბ. კირვალიძისთვის და იმასთან ერთად შეჰკითხებოდა „მოგზაურის" რედაქციას, რა იქნა ეს ფული, მშიერ-მწყურვალ ხალხის დასახმარებლად მოგროვილიო, ეს გაზეთი არც აცივებს, არც აცხელებს და ჩვენ პროვოკატორებს გვიწოდებს.

ლანძღვა და წყევლა უძლური ბრაზიანობის ნიშანია, ხოლო ამ შემთხვევაში ეს არის უძლურება არა ფიზიკური, არამედ ზნეობრივი. სოციალ-დემოკრატიულ ლანძღვა-გინების წყევა-კრულვისა ჩვენ არც წინად გვშინებია, არც ეხლა გვეშინია. მაგრამ საინტერესო აქ ჩვენი პოზიცია კი არა, „ლახვრის" პუბლიცისტების პოზიციაა, რომელთაც ისეთი უკუღმართი აზრები უტრიალებთ თავში, რომ პროვოკატორობად მიაჩნიათ შეკითხვა იმაზე, თუ რა იქნა ღატაკი ხალხის სულის მოსაბრუნებლად კაპეიკობით მოგროვილი 2411 მან. და „მოგზაურის" რედაქციაში გაგზავნილი დანიშნულებისამებრ გადასაცემად. მთელი რუსეთი შეირყა და შეტორტმანდა იმის გამო, რომ ცნობილ გურკოს ხელში ჩავარდნილი ფული დამშეულთა დასახმარებლად დანიშნულებისამებრ მოხმარებული არ იქნა; სოციალდემოკრატიულ პუბლიცისტებს ერთი და ორი საწერელი მელანი არ შეუხარჯავთ ამ საქმის გამო პასუხის მოთხოვნაზე; პასუხის მოთხოვნა მაშინ სოც.-დემოკრატებს პროვოკაცია არ ეგონათ, მაგრამ აი პასუხი მოსთხოვეს ანალოგიურ შემთხვევაში გაზეთს „მოგზაურს" და „ლახვრის" პუბლიცისტები იძახიან, ეს პროვოკაციაო. არსებობს ერთი ველური ხალხი, ბუშმენების ტომი, რომლის ზნეობრივ კოდექსშიაც სწერია: თუ მე მოვტაცე შენ ცოლი — ეს კარგი საქმეა, თუ შენ მომტაცე მე ცოლი — ეს არ ვარგაო. გაზ. „ლახვრის" პუბლიცისტების ზნეობაც ამ ბუშმენებზე შორს ვერ წასულა. როცა სხვას ვისმე ეკითხებიან, რა უყავით სახალხო ფულიო — ეს კარგი საქმეა, ხოლო როცა სოციალ-დემოკრატიულ რედაქციას ეკითხებიან, რა იქმნა თქვენ რომ მშიერ ხალხის ფული გამოგიგზავნეთო, — ეს პროვოკაციაა. ასეთი უკუღმართ მორალით, ასეთი უპრინციპო ვექილობით გაზეთ „ლახვარი" „მოგზაურს" ვერაფერს სამსახურს ვერ გაუწევს. ტყუილი იმედი აქვს, ვითომ იგი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით შეაშინებს ვისმე და დაშინებულნი აღარც „მოგზაურს" ჰკითხავენ, რა იქმნა და სად ჩაიყლაპა მშიერ-მწყურვალთა და შიშველ-ტიტველთა დასახმარებლად მოგროვილი ფული, რომელიც თქვენ ჯერ ისევ 1905 წელს მოგივიდათ ფოსტითო.

„ლახვრის" პუბლიცისტების უძლურმა სიბრაზემ ერთის მხრივ უკვე ისეთი წიხლი ჩასცხო „მოგზაურის" რედაქციას, — რა თქმა უნდა, თავისდა უნებურად, — რომ არა გვგონია, თვით „მოგზაურ"-მა დაუმადლოს მათ. „ლახვარი" სწერს: **„გაზეთის და წერილის ავტორს (მ. ი. „ისარს" და ბ. კირვალიძეს) საშუალება ქონდათ სხვა გზით გაეგოთ იმ ფულების ბედი, მარა ეს არ მოისურვესო"**. მაშასადამე ამ ფულს რაღაც ბედი სწევია, ისეთი ბედი, რომლის გამოქვეყნება „ლახვრის" პუბლიცისტებს მოუხერხებლად მიაჩნიათ. ცხადია, ეს ბედი — დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა არ არის (ამის გამოქვეყნება ყოველის მხრივ მოსახერხებელია), ცხადია, რომ ამ ფულს რაღაც სხვა ბედი სწევია და არა ის, რომ ან აქამომდე ხელუხლებლივ იყოს შენახული და ან დანიშნულებისამებრ დახარჯული. „მოგზაურის" ვექილებს — „ლახვარის" პუბლიცისტებს ეს, ალბად, ანაზდეულად წამოსცდათ, მაგრამ ამ უცაბედად ნასროლი ფრაზის მეოხებით სრულიად ახალი შუქი ეფინება მთელს საქმეს. ეხლა ჩვენ „ლახვრის" პუბლიცისტებისაგან ვიცით, რომ „მოგზაურის" რედაქციისაგან 1905 წელს დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული 2411 მან. არც ხელ-უხლებლივ შენახულია და არც დანიშნულებისამებრ დახარჯული.

არსებითად სიყალბე და ცილისწამებაა, ვითომ სხვა გზით ვრავის ეცადოს ამ ფულის ბედის შეტყობა; პირიქით, ძალიან ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამ მეცადინეობისაგან არაფერი გამოვიდა. ფულის ბედი მაინც არ გამოირკვა.

„ლახვრის" პუბლიცისტები ზნეობას გვასწავლიან, ამ საგანზე ხმა არ უნდა ამოგეღოთ, რადგან ამას შეიძლება ციხე მოჰყვესო. თან იმასაც დასძენენ, ვითომ ჩვენმა ერთმა სხვა ასეთმა საქციელმა რამდენიმე კაცს უკვე ციხეში ამოაყოფინა თავი. რა არის ეს სხვა ასეთი საქციელი — ამას „ლახვარი" არ ამხელს და ვერ მივმხვდარვართ, რას გულისხმობენ უებარნი პუბლიცისტნი. ეს უშინაარსო ბრალდება, ჩვენის ფიქრით, ჩვეულებრივი სოციალ-დემოკრატიული ქამანდია, დემაგოგიური და დაბალი ღირსებისა. ამაზე „ლახვარს" პასუხს ვერ ვაძლევთ, დემაგოგობა მათი პრივილეგიაა, მაგრამ ის კი არ შეგვიძლიან აღუნიშნველი დავტოვოთ, რომ „ლახვრის" პუბლიცისტები გაჩუმებას გვირჩევენ. გამოდის, ვითომც ამ ვაჟბატონებს იმის დაკანონება ჰსურდეთ, რომ დაზარალებულ და დამშეულ ქართველებისთვის მოგროვილი ფული სოციალ-დემოკრატიულ რედაქციებში იგზავნებოდეს, იქ ამ ფულებს რაღაც „ბედს" უჩენდნენ, ხოლო ამის თაობაზე ხმის ამოღების უფლება კი არავის ჰქონდეს. საინტერესოა, რომ ასეთ საგანგებო აზრების დასაცველად „ლახვრის" პუბლიცისტები თანამედროვე პოლიტიკურ მომენტს იხვევენ ხელზე. მღვრიე წყალში თევზის ჭერა, როგორც სჩანს, ძალიან ჰკუაში მოსვლიათ.

ეხლა, დეე მკითხველმა თითონ გამოიცნოს — ვინ არის პროვოკატორი?

## საშუალო სკოლის რეფორმის გამო

(დასასრული *)

ამ დროის «გიმნაზია», როგორც სამართლიანად გადასწყვიტა პეტერბურგს საშუალო სკოლის მოღვაწეთა მეორე კრებამ, დაბალის ხარისხით უნდა შეუერთდეს სახალხო სკოლას, უმაღლესით კი გადაკეთდეს ისეთ დაწესებულებად, სადაც სწავლება უნდა იყოს უფრო თავისუფალი და გაინდივიდუალიზებული, დაყოფილი სხვა და სხვა ციკლად, რომელთა შორის არჩევანი ჭაბუკის სურვილზედ უნდა ეკიდოს. ყურადღება რომ არ მივაქციოთ მოსწავლის უნიჭობას ამა თუ იმ საგანში, გონების სხვა და სხვა მიმართულება და ცხოვრების გზათა სხვა და სხვაობა იმასა სჩადის, რომ მოწაფეები ერთნაირად გულს ვერ უდებენ საგნებს და ვერც თანასწორის წარმატებით მეცადინეობენ. ამ თვალით ახალი პედაგოგია აფუძნებს საშუალო სკოლას შემდეგნაირად: დაიცავს საშუალო სკოლის ზოგად საფუძველს ელემენტარ ზოგად განმანათლებელის კურსისთვის, თან მოახდენს დიფერენციაციას უფროს კლასებში, საიდანაც მოწაფეები უნდა გადავიდნენ უმაღლეს სასწავლებელში. პირველ ექვსის კლასის ზოგად საფუძველზე საჭიროა მოხდეს რტოებად დაყოფა ზემოდ სამის, ანუ ორის დარგისა მაინც (საჰუმანიტარო ერთის ლათინურით და სარეალო). ეს წესი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ერთი ჩინებული პედაგოგი, შეძლებას გვაძლევს გადადებულ იქმნეს არჩევანი სპეციალობისა და, მაშასადამე, ერთ მხრივ მიმართულება აღზრდისა, ვიდრე მოწაფე ჭაბუკობაში გადადგებოდეს და მშობლებს განათავისუფლებს საჭიროებისაგან, რომ ცხრისა და ათის წლის ბავშებს მიუსაჯონ სასპეციალო განვითარება ამა თუ იმ მიმართულებით. ეს წესი საგნების მოსაწყობადაც სკოლაში მეტად მომარჯვებულია. სკოლის ასეთის განაწევრების (расчлененie) წყალობით შეიძლება საგნები ზოგად განმანათლებელ ექვს კლასიან სკოლისა შემოკრებილ იქმნეს შესასწავლად სამშობლო ენისა, რუსულის ენისა, ერთის ახალის ენისა (გერმ. ანუ ფრანგ.) და მათემატიკისა, როგორც უმთავრესს საგნების გარემემო, და იმ დროსვე ადგილი დარჩეს შესასწავლად საკმაო განზომილებით ისტორიისა, ბუნების მეტყველებისა, ფიზიკისა და გეოგრაფიისა. ხოლო უფროს კლასებში (VII, VIII და IX) რა კი დაცული იქნება ზოგადი კავშირი მთელ წყება საგნებში, მოსახერხებელი გახდება განაწევრება ორ ან სამ ჯგუფად, თანახმად ძირითად მიმართულებისა მოწაფის ნიჭისა და საქმიანობისა.

შეუძლებელია, არ მოვიყვანოთ აქ აზრი ერთ გამოჩენილ პედაგოგის ორ, თუ სამ ციკლის შემოღების შესახებ სკოლის ორგანიზმოში, აზრი, რომელიც სიმართლესა და დასაყრდნობელს ჰპოვებს ამ დროის პედაგოგიის მეთოდთა განახლებაში.

«იგი (ახალი პედაგოგია) წამოაყენებს ნიჭთა თანასწორ განვითარების იდეას და აფრთხილებს, ბოროტად არ იხმარებოდეს აბსტრაქცია და მეხსიერება, ამას გარდა აღნიშნავს ბუნებრივ ხანებს ბალღობის, ყმაწვილისა და ჭაბუკის ცხოვრებაში, — ხანებს, რომელთა მიუხედავად სწავლებამაც სხვა და სხვა ელფერი უნდა მიიღოს. თვალ საჩინოება პირდაპირი დაკვირვება (непосредственность) ყოველად ძვირფასი საპედაგოგიო იარაღია ბავშების გახსნობელად ახალ ფაქტებთან უმცროს კლასებში. ამ სტადიასა და ჭასაკს შეჰფერის ყოვლის უწინარეს პრაქტიკულად შესწავლა ენებისა, საისტორიო ამბები, პირდაპირი გაცნობა ბუნებისა, იმის მოვლენათა ერთგვარობის მიხედვით. საშუალო კლასებში ინსტიქტიურად შემენილი ცოდნა, პირდაპირ მიღებული შთაბეჭდილება, განუწყვეტელი დაკვირვება — ყოველივე უნდა უფრო და უფრო აიხსნას ანალიზით, გადიქმნას განყენებით, დაითხზას სისტემებად. ბოლოს უფროს კლასებში უმაღლეს განათლებისადმი მიმართულ გიმნაზიაში ყოველგან უნდა საგრძნობელ იყვეს დაახლოვება სამეცნიერო მეთოდებთან და მისავალი საფილოსოფიო განზოგადებასთან»...

რაც ითქვა, იმის შემდეგ საჭიროა წარმოვადგინოთ ზოგადი სქემა ჩვენის საშუალო გიმნაზიისა.

საშუალო სკოლა გაიყოფა ორ ციკლად, რომელთაგან უმცროსი ზოგად განმანათლებელია განსაზღვრულის აზრით, უძღვის უმარტივესი პროფესიებისადმი და იმ დროსვე ძირითადი და უფრო ხანგრძლივი. დასრულებული წრე მისი ცოდნისა შეიძლება შემოიფარგლოს დაახლოვებით 17 (16) წლის ჭასაკით. მეორე შეიცავს ცოდნას, რომელიც უძღვნის უნივერსიტეტისადმი და დანიშნულია ჭასაკისთვის 17 (16)—19 (16) წლამდე.

სკოლის უმცროს ციკლის კურსით უნდა ისწავლებოდეს ექვსი წლის განმავლობაში. ამ ციკლის უმთავრესი საგნებია: დედა ენა, რუსული ენა, ერთ-ერთი ახალი ენა, მათემატიკა, ისტორია (სამშობლო და საზოგადო), გეოგრაფია (სამშობლო და საზოგადო), ბუნების ცოდნა, ფიზიკა, ხელოვნება, ხელოსნობა და ფიზიკური აღზრდა.

უფროსი ციკლი გაიყოფა ორ დარგად სამწლოვანის კურსით: პირველია, საჰუმანიტარო; **უმთავრესი საგნებია** ვრცლად სასწავლებელი: ენები (სამშობლო და რუსული), ერთი ახალი ენა და ლათინური), ისტორია, ფილოსოფია (ფსიხოლოგია და ლოგიკა), საზოგადოების და სახელმწიფოს მეცნიერება **დამატებითია**, არსებითად სასწავლებელი: ფიზიკა, მათემატიკა, კოსმოგრაფია, გეოგრაფია და (საპოლიტიკო ეკონომია).

მეორე დარგია — საბუნებრივო-სამათემატიკო; **ვრცლად სასწავლებელი საგნებია:** მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია და ელემენტები უმაღლესს მათემატიკისა), ბუნების მეცნიერება, გეოგრაფია, ფიზიკა, მექანიკა, ქიმია, კოსმოგრაფია, საპრაქტიკო სწავლა ქიმიისა და ფიზიკისა, ხატვა.

ხსენებულ საგნებს გარდა ამავე დარგზე ისწავლება შემდეგი საგნები: ენები (სამშობლო, რუსული და ერთი ახალი) ფილოსოფია (ლოგიკა და ფსიხოლოგია) ისტორია, (საპოლიტიკო ეკონომია) და სახელმწიფოს მეცნიერება.

ჩვენის საშუალო სკოლის განზრახულ რეფორმის საკითხის დასასრულებლად საჭიროა განვმარტოთ ის მოსაზრებაც, რომელმაც გვაიძულა ცხრა კლასიან გიმნაზიის შემოღება:

1. საზოგადოდ კულტურაში ჩამორჩენილობა ჩვენის საზოგადოებისა ყველასათვის ცხადია, რომ საერო განათლების საქმეში დიდად ჩამოვრჩენილვართ შედარებით იმ ხალხთან და საზოგადოებასთან, სადაც საერო სავალდებულო განათლება 50 წელიწადზე მეტ ხანს არსებობს. ჩვენში ჯეროვან მომზადებას არ იძლევა არც საერო სკოლა, არც ოჯახი.

2. აწინდელი საშუალო სკოლა საკმაოდ ვერ ამზადებს მოწაფეებს უმაღლეს სასწავლებელთათვის და ამიტომ ეხლა უნივერსიტეტის დაბალ კურსებსა და საშუალო სკოლას შორის განწყობილება უფრო განუსაზღვრელია: ჩვენებურ მოსწავლეთა აკადემიურ ცხოვრების პირველ წელიწადს და წელიწად-ნახევარსაც შევნიშნავთ, რომ უნივერსიტეტებს სჭირდებათ ხოლმე შეავსონ ნაკლი ზოგადის განათლებისა და მოამზადონ მოწაფეები საფაკულტეტო მეცნიერების შესასწავლად. საშუალო სკოლამ თითონ უნდა გაისტუმროს საკმაოდ მომზადებული ახალგაზდები და უარ-ჰყოს ის აზრი, რომ უნივერსიტეტს თავს მოახვიოს მოვალეობა საშუალო განათლების **ცალმხრივობის გასასწორებლად**. იმის მაგიერ, რომ თავ-ბრუს დამსხმელი ნახტომი არ მოუვიდეს ჩვენ სტუდენტებს, გადასვლა საშუალო სკოლიდან უმაღლესში უნდა მოხდეს მხედველობის თანდათან გაფართოვებით და მეთოდების ცვლით. ამიტომაც არ უნდა შეგვაცდინოს იმ ფიქრმა, რომ განზრახული რეფორმები კურსს განამარტივებს და შეამოკლებს.

3. დასავლეთ ევროპასა და სკანდინავიის ჩრდილოეთში უკვე განახორციელეს იდეა ცხრა კლასიან გიმნაზიებისა. ისიც იმ გარემოებაში, რომლითაც მიმდინარეობს მოსწავლეთა ცხოვრება.. გარემოება იგი ხომ საბედნიეროა.! ნუ დავივიწყებთ ამასთანავე საშუალო ხანგრძლიობას სასწავლო წლისას დასავლეთ ევროპის სკოლებში; იმ დროს, როცა ჩვენში სასწავლო წელიწადი 28—30 კვირამდეა, საფრანგეთში 41-ია, ნორვეგიაში—39, პრუსიაში—42, დანიაში—43.

4. ჩვენს სკოლაში მოსწავლეებს დასჭირდებათ საფუძვლიანად შესწავლა **დედა ენის გარდა რუსულ ენისა**, როგორც სახელმწიფოსი და ცხოვრებისათვის დიდად საჭირო ენისა, და კიდევ ერთ-ერთ ახალ ენისა, მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში მოსწავლენი იოლად მიდიან მარტო ერთის ენის საფუძვლიანად შესწავლით.

ყოველ ზემოდ მოყვანილ განმარტებულ მოსაზრების შემდეგ ვამჯობინეთ დაარსდეს ცხრა კლასიანი გიმნაზია.

*) იხ. „ისარი" № 107.

## აი სიმართლე!

(წერილი სიღნაღიდან)

გაზეთ „ლახვარის" მე-12 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ქ. სიღნაღიდან ვიღაცა „მეწყინესი". სწორე გითხრად, ჩვენ იმ ნაჯღაბნს პასუხის ღირსად არა ვსთვლიდით, მაგრამ როდესაც გაზეთ „ისარში" წავიკითხეთ სამეგრელოდან მოწერილი ამბავი ზღვის პირელისა „ხორციელდება პროლეტარიზაცია", გამახსენდა სიღნაღის ს.-დემ. ტაქტიკა-მოღვაწეობა და, ცოტა არ იყოს, მეწყინა, რომ „მეცნიერი" ს.-დემოკრატები ყველგან ერთნაირად მოქმედებენ თავიანთ „პროლეტარიზაციის" თეორიის განსახორციელებლად. ჯერ ჯეროვანი მინდა პასუხი გავსცე „მეწყინეს" ნაჯღაბნს და მერე მოვიყვან ზოგიერთ ფაქტს ს.-დემოკრატების მოღვაწეობისას.

„მეწყინე" იწერება სიღნაღიდან, რომ ს.-ფედ., გარდა „სოციალისტობისა", საგლეხო ბანკის აგენტები და თავადების დალალებიც ყოფილან, რომ გლეხებზე გაასაღონ თავადების მამულები და რომ მადლიერი თავადებიც შრომის ფასს არ დაიშურებენ ს.-ფედერალისტებისთვისაო. ამაზე მე მოკლე პასუხი მაქვს. მოვითხოვ გაზეთ „ლახვრის" რედაქციისაგან, ერთის კვირის განმავლობაში უარ ჰყოს ეს საზიზღარი ცილის-წამება. თუ რედაქცია ამას არ იზამს, აშკარაა იგი თავის თანამშრომელ-კორესპონდენტთანა ცილისმწამებელი ყოფილა და სხვა არაფერი. მერე თავის წერილში „მეწყინე" განაგრძობს, რომ ს.-ფედერალისტები სოფ. მაშნაარში*) გუნდრუკს უკმევდნენ საგლეხო ბანკს; ვითომ ერთს ეთქვას მათთვის: „თქვენ ხომ სოციალისტები ხართ და რატომ ასყიდებთ გლეხებს მიწას და არა ჰკადაგობთ მუქთად გადაცემასო" და ვითომ ს.-ფედერალისტთა ბრბო ამ სიტყვებისთვის თოფ-ხარბაზნებით დასცემოდეს მთქმელს და მოკვლას დამუქრებოდეს. სწორედ გითხრათ, ამისთანა უსირცხვილო სიცრუეს ძნელად იკადრებდა სინიდის დაკარგული ადამიანიც, მაგრამ ეს ხომ სიღნაღელი ს.-დემოკრატების ხელობაა! რას იზამენ, როდესაც, გაბრაზებულნი თავიანთ უძლურობით, მეტი საშუალება ვეღარ მოუძებნიათ.

საქმე კი, რომელმაც გამოიწვია „მეწყინეს" წერილი, სულ უბრალო იყო. ქიზიყის ორი სოფელი, მაშნაარი და ახაანური, ძლიერ შევიწროვებულნი არიან უმამულობით, ისე რომ იძულებულნი არიან იჯარით აიღონ ბ-ნ ჩოლოყაშვილის მამული. ეს მამული შეადგენს ამ ორ სოფლის ცხოვრების წყაროს. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ჩოლოყაშვილის მამულს საგლეხო ბანკი ყიდულობს რუსეთიდან გლეხების გადმოსასახლებლადაო.

ამ ამბავმა ძალიან დააფიქრა ეს უმამულო სოფლები. რამდენსამე კაცს დაეკითხნენ, როგორ მოვიქცეთ, რომ ეს მამული ხელიდან არ წაგვივიდეს, თორემ დავიღუპებითო. იმათ აუხსნეს გლეხებს, რომ დღევანდელ პირობებში ერთი საშუალებაა, ეს არის საგლეხო ბანკი. მით უმეტეს, რომ საგლეხო ბანკი ერთი ორად და ერთი სამად ნაკლებს იჯარას თხოულობს, ვიდრე ჩოლოყაშვილი, ხოლო იჯარა გინდ ბანკს მისცეთ, გინდ ჩოლოყაშვილს, გინდ პეტრეს და პავლეს თქვენთვის სულ ერთია, განსხვავება არაა, რომ ბანკი სამჯერ ნაკლებს თხოულობს, მას გარდა რაც თქვენ გაწუხებთ, რუსეთიდან ვეღარავის გადმოასახლებენო. ეს იყო და ეს. ამან გააბრაზა „მეწყინე". გარდა ამისა, ბ. „მეწყინე" თითქოს სტირის, რომ სიღნაღს ს.-ფედ. მრავალ ამგვარ საქმეებს სჩადიან და სინიდისი არ ამხელსო. ჩემი არ გითხრა, გული რით მოგიკლაო, ნათქვამია, და აი ს.-დემოკრატები რასაც თვით სჩადიან, ს.-ფედერალისტებს ახვევენ კისერზედ. მაშ ჩვენც მოვიყვანოთ რამდენსამე ფაქტს ს.-დემოკრატების მოღვაწეობიდან.

მივუთითებთ „მეწყინეს" სიღნაღის გალავნის გარედ ორ საცოდავ გლეხი ბიჭის საფლავზედ, რომელნიც ძარცვა-გლეჯამ იმსხვერპლა. ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი, რადგან სიღნაღელი ს.-დემოკრატები კარგად მიჰხვდებიან, რაშიაც არის საქმე. ეხლა მიბრძანეთ, ზაკურციხის ბოქაულმა ნაპარევ ცხენებსა და კამეჩებთან ერთად ვის წაართვა მარქსის სურათი და სოც.-დემ. დროშა? ვინა სწერს მუქარის წერილებს ტფილისიდან ქიზიყელთ და სთხოვს ფულს? ვინ ერევა თავის წევრების კერძო საქმეებში და ს.-დ. ბეჭდით მუქარას უთვლის, არავინ არ გაბედოს და სოც.-დემოკრატებს ან ვალი არ მოსთხოვოს ან ყოველივე ბრძანება წევრებისა დაუყოვნებლივ შეასრულოსო? ვინ მოსთვლის იმ სიმყრალეს, რასაც თქვენ სჩადიხართ სოფელ-ქალაქად! თუ ინებებთ, ყველაფერს თქვენ მიერვე დაწერილ, ბეჭედ დასმულ ქაღალდის ნაგლეჯებით დაგიმტკიცებთ! მხოლოდ ნუ მოჰყვებით კოდელ ნინოსავით პროვოკაციაზე ყვირილს, როგორც გჩვევიათ ხოლმე მაშინ, როდესაც თავის გასამართლებელი საბუთი აღარა გაქვთ.

მაგრამ საქმე ის კი არ არის, ვითომ ს.-დემ. არ იცოდნენ, რომ სცრუობენ: მათ გული იმაზედ უკვდებათ, რომ დინჯ და წინ-დახედულ ქიზიყში ფეხი ვერ მოიკიდეს, რადგან ქიზიყელები არ აძლევენ ყველა ბიჯს-ბუჯს, და აი, გაბრაზებულნი, მზად არიან ს.-ფედერალისტებზე მიიტანონ იერიში, ავრცელონ ჭორები და პროვოკატორულის მოქმედებით გამოალაშქრონ გლეხები, მაგრამ ამაოდ. თქვენ მხოლოდ შესძელით მიგემხროთ სოფლის ხულიგანები და მწერლები, რომელნიც გაზეთში იყვნენ წოდებულნი ჯაშუშებად. რაც შეეხება თქვენს სოციალისტობას და რევოლიუციონერობას, ამაზედ ლაპარაკიც კი მეტია, მოგაგონებთ მხოლოდ ორს შემთხვევას, როცა თქვენ დაუმტკიცეთ ხალხს რანიც ბრძანდებით. ერთ სოფელში მეწყინეს დამქაშნი ხალხს ურჩევდნენ აერიდნათ თვალნი თვისნი იმედი პეტერბურგ-დუმისაკენ, ურჩევდნენ გლეხებს, ხარკები არ გადაეხადნათ და თუ ძალას მოიტანდნენ, ომი გამოეცხადებინათ, მაგრამ როცა ამაზე მეორე პარტიამ უთხრა ხალხს, თუ ამას შესძლებო, მიგიძღვით წინაო. „მეწყინემ" მაშინვე უკან დაიწია და განაცხადა, ჩვენ ბრძოლისათვის არ ვიწვევთ ხალხსაო. სად გაჰქრა თქვენი და თქვენი მომხრეების მებრძოლი ხელი მაშინ? გახსოვთ, ფქვილის გოდრები, რა ძვირად გილირდათ და რამდენი უვალი ბილიკი დასერეთ. მხოლოდ თქვენი მოწინაალმდეგენი და გლეხები შერჩნენ ხელში შემოსულთა და უშიშრად ჩაიარეს მათ შორის. მერე რომ გაავრცელეთ ხმა, ვითომ ეს იმიტომ მოხდა, რომ ჯარი და პო-

*) საიდანაც ხალხმა სოც.-დემ. წინა ხანებში ს.-ფედ. მომხდარ დებატების შემდეგ სამუდამოდ დაითხოვა, და ახლა ამით უნდათ ისარგებლონ ფეხის საბრუნებლად.

ლიცია მათი მომხრე იყოს და იმისათვის არ დაიჭირეს და სხვა.

უარესი საქციელი თქვენი გამოაშკარავდა მეორე სოფელში. ერთმა ამხანაგმა გლეხებს მიჰმართა იმის შესახებ, რომ მინდვრის თაგვების წინააღმდეგ მიეღოთ ზომები; ელონათ რამ ვენახების შეწამლაზე და ფილოქსერის წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება მალე გაჩნდეს კახეთში. „მეწყინემ“ აღარ დააცალა ამხანაგს სიტყვის დათავება, გიჟივით გადმოხტა და დაიწყო: „ამხანაგებო! ეგენი მთავრობის გამოგზავნილი არიან, გელაპარაკებიან თაგვებზედ, ფილოქსერაზედ, ვენახის შეწამლაზედ და სხვა, ამით მაგათ უნდათ რევოლიუციას მოგაშორონ, მოჰკლან თქვენში მებრძოლი სული, ყველა მაგენი სულ ტყუილია, თქვენ ხელი უნდა აიღოთ ხვნა-თესვაზე, ვენახის შეწამვლაზე, თაგვების გაწყვეტაზე, ეგენი ეკონომიურ მატერიალიზმის ბრალია და გაჩენილი და მათთან ეგეთი ბრძოლა უმნიშვნელოა. თქვენ უნდა იდგეთ და იცქიროთ პეტერბურგისაკენ, რომ რევოლიუციაში ჩაებნეთ; დაე გადმოასახლონ რუსეთიდან გლეხები, ისინიც ჩვენი ძმები არიან; როდესაც ჩვენ დავამყარებთ სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკას და გვეყოლება არჩეული პრეზიდენტი, მაშინ პრეზიდენტი თითონ გაგვიწყვეტავს თაგვებსაც, შეგვიწამლავს ვენახებს, მოგვიხნავს, დაგვითესავს და გაგვაბედნიერებს. მანამდის კი მათთან ბრძოლა უნაყოფოა და ემზადეთ რევოლიუციის მოსახდ ნადაო“.

ეჭვი არ არის ბევრი არ დაიჯერებს ამაებს, მაგრამ, გარწმუნებთ, ერთი სიტყვაც არ არის სიცრუვე. არ გეგონოთ უსწავლელნი ამბობდნენ ყველა ამას. ამავე კრებაზე გადმოდგა ერთი „განათლებული“ სოც.-დემ. ექიმი და რაც სისულელე „მეწყინემ“ დააკლო, იმან დაუმატა: „ამხანაგებო გლეხებო,—სთქვა მან,—რაც ჩემმა ამხანაგმა სთქვა, ეს ყველაფერი მართალია. ყველა ეს წამალი ტყუილია, თქვენ დღევანდელი არც სკოლა უნდა გინდოდეთ, არც აფთიაქი, არც ექიმი (თითონ კი ბლომა ფულს იღებს ამავე ექიმობაში). მე ხომ ექიმი ვარ, მაგრამ მეც გატყუებთ, ჩემი დაწერილი რეცეპტებიც და წამლებიც ტყუილია (ეს ვგონებ მართალი უნდა იყოს!) ჩვენ რესპუბლიკას რომ დავამყარებთ და პრეზიდენტი გვეყოლება, მხოლოდ მაშინ ექნება ყველა ამაებს გასავალი და სარგებლობაა“. ერთი სიტყვით „მეცნიერმა“ ექიმმა მთელი მეცნიერება უარ-ჰყო და ოთხჯერაც გაიმეორა და როცა ს.-დემოკრატების ამ „მეცნიერულ“ აზრებს ს.-ფედერალისტებმა მოსჭიდეს ხელი და ცხვირიდან ძმარი ადინეს, მაშინ მათმა მინდობილმა სალახანებმა მორთეს ვაიუშველებელი, აღარ დაუცადეს კამათის დამთავრებას და გაიქცნენ კამათის ველიდან.

აბა, მკითხველო, დაუფიქრდი ს.-დემ. ამისთანა ლაპარაკს და აგიტაციას ხალხში, თუ პირდაპირ ის დასკვნა არ გამოიყვანო, რომ ს.-დემოკრატებს უნდათ გააბრიყვონ გლეხები, გაადატაკონ, დაამშიონ, ე. ი. მოახდინონ „თავიანთი საყვარელი პროლეტარიზაცია“. დაუკვირდით ამას და ნათლად დაინახავთ, რომ სამეგრელოშიც, გურიაშიც და ყველგანაც ერთსა და იმავე ტაქტიკით მოქმედებენ ჩვენი „ბრძენნი“. და თუ ქიზიყში, მხოლოდ აგიტაციას ეწევიან, რომ ხალხმა არაფერი გააკეთოს, დაიმშეს და გაღატაკდეს,—და არა ბრძანებას, როგორც სამეგრელოში უქნიათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ქიზიყში ჯერ იმდენი არა გააჩნიათ-რა... **განწირული**

## მუშების ცხოვრება

**ქ. თელავი.** ამას წინად „ისარის“ ფურცელზე მოთავსებული იყო რამდენიმე წერილი თელავში მუშაობის დროს დაკლებასა და დუქნების გაღებ-დაკეტვაზე, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს, ისევ ძველებურად სწარმოებს მუშაობა და ვაჭრებმა —ხომ ზედ მეტად კვირაობითაც დაუწყეს დუქნებს გაღება. ახლად შემუშავებულ პირობებს ბევრი უპირატესობა აქვს დღევანდელ მუშაობასთან, მაგრამ მაინც იგი სავსებით არ ანთავისუფლებს ალების ხელიდან, რომელნიც ისე ექცევიან ნოქარ-შეგირდთ, როგორც უნდათ, ამას-კი ყურადღებას არავინ აქცევს და ისიც თვალებსა ხუჭავს, რომელიც მარტოდ-მარტო გამოდის მუშათა ინტერესების დამცველად.

მგონი ისე არსად არის მოუწესრიგებელი შეგირდ-ქარგალთა ყოფა-ცხოვრება, როგორც თელავში, აქ ისევ მამაპაპური ჩვეულებებია. დურგლები, კალატოზები, ზეინკლები და სხვა დარგის ხელოსნები შეგირდებს იყვანენ ხელობის შესასწავლად რამდენიმე წლობით. ამ ხნის განმავლობაში სრულიად უფასოდ იმსახურებენ, ტანთაც არ აცმევენ როგორც წესია და ლანძღვა-გინება კიდევ მეტია. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ სახლშიაც იმსახურებენ, ბევრს პირველ წელიწადს სახლის ბიჭადა ჰყავს და ისეთ დროს აწყებინებს ხელობას, როცა საკმაო ცოდნას ვერც-კი შეიძენს. ასეთი შეგირდი თუ ნოქარი ყოველივე უფლებას მოკლებულია, კვირა არ არსებობს მისთვის და დღესასწაული.

ამას გარდა ზოგი ისეთ საქმეს აკეთებინებს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ხელობასთან და არც სახლის საქმესთან. მაგ დურგალი ხომიზურაშვილი, რომელსაც აქვს ვეებერთელა ქარხანა და საკუთარ ხე-ტყის მასალის საწყობი, თავის შეგირდს ჯერ თურმე ტყეში ატარებდა კვირაობით, ხოლო ეხლა იმის მაგიერ, რომ ხელობა შეასწავლოს, მიუცია სახრე და ძროხებისთვის აუდევნებია. ამისთანა მაგალითი ბევრი იქნება და ის ვისაც მუშათა მფარველად მოაქვს თავი, აქამდე დუქნის დარაბას უყურებდა—ღიაა თუ დაკეტილიო, თუმცა ეხლა ამასაც თავი მიანება და იმას-კი არა ჰხედავდა ან განგებ არიდებდა თვალს, რომ დარაბის იქით უარესი საქმე ჰხდება. აი როგორი მაგალითები ყოფილა წინედ. თურმე ალები თავიანთ შეგირდ-ქარგლებს ჰკეტავდნენ ან სხვენში ჰმალავდნენ და ისე ამუშავებდნენ. რასაკვირველია უფრო მეტ საქმეს გააკეთებინებდნენ... დაუჯერებელია, მაგრამ მართალი ამბავი-კი გახლავთ.

ამას გარდა, როგორც შეგირდ-ნოქარნი, ისე ბაზრის მშრომელი ხალხი საერთოდ ძალიან ჩამორჩენილია გონებრივად. არც ბიბლიოთეკა, არც სახალხო კითხვები, არც რაიმე გასართობი მათთვის არ არსებობს. ამის შემდეგ გასაკვირველი აღარ არის, რომ ბევრი თავისუფალ დროს სამიკიტნოსა ან ბაღში სადმე მიდის ღვინის დასალევად და ბანქოს სათამაშოდ. ამნაირად, ხწარე ოფლით 6 დღის განმავლობაში ნაშოვნ ორ გროშს ერთ საათს აგებს და ორშაბათიდან მოწყვეტილი და ღონე გამოლეული მშიერის კუჭით იწყებს მუშაობას მეორე კვირამდე.

**მუშა.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ტფ. საკომერციო ბანკის აქციონერთა კრების დადგენილების თანახმად, ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო ბანკისაგან ათას ხუთასი მანეთი, შემოწირული ბანკის საზოგადოების მიერ ტფ. და ქუთ. გუბერნიებში დამშეულთა სასარგებლოდ, რისთვისაც საქვ. საზ. გამგეობა გულწრფელ მადლობას უძღვნის როგორც აქციონერთა კრებას, ისე ბანკის გამგეობას.

საქველმოქმედო საზ. გამგეობა ღრმა მადლობას უძღვნის აგრეთვე საავთიაქო საქონლით მოვაჭრე კავ. ამხანაგობას, რომელმაც დამშეულთავე სასარგებლოდ შემოსწირა 250 მან.

ქართ საქ საზ. გამგეობის თავმჯდომარე:

**უგან. კნ. თამარ გრუზინსკისა.**

—

ბ-ნ ტატო თარხნიშვილის ღია წერილის პასუხის პასუხად). ბ-ნო ტატო! უკაცრავად, რომ დაგაგვიანე თქვენი წერილის პასუხის („ისარი“ № 69) პასუხი. ხომ მოგეხსენებათ, მე ერთი საწყალი გლეხი ვარ და ვერ მოვახერხე ტფილისში დროზე ჩამოსვლა, რომ რედაქციაში საბუთები წარმედგინა. მე გახლავართ მემკვიდრე განსვენებულ მამიჩემის დიმიტრი შუშაბერიძისა, რომელსაც თქვენგან ნასყიდი აქვს შინაურულის წესით და ამ ნაყიდობის ქაღალდზედ საკუთარი ხელი აწერია: თქვენი, ყველა თქვენი ძმებისა და დედი თქვენისა 1888 წლის 11 აგვისტოს თარიღით. ამ იარაღის წინად ეს მიწა გირაოდ ეჭირა მამაჩემს და ბიძა-ჩემს თითქმის ოცი წელიწადი. ამისი საბუთიცა მაქვს და თქვენც კარგად მოგეხსენებათ და არ ვიცი, რად მალავთ. თქვენ ხელწერილს ვუდგენ რედაქციას*).

უმორჩილესად ვთხოვ ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი, ბ-ნ ტ. თარხნიშვილის პასუხის პასუხად.

კავთიხეველი გლეხი **ცაცო შუშაბერიძე.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი

**ჰელსინგფორსი.** სად. კაუვალის მახლობლად 4 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ეტლით მიმავალს კერძო ქარხნის კასირს. მოჰკლეს მეეტლე და 67 ათასი მარკა გაიტაცეს. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

**ლიბავა.** მიხეილის სასწავლებელში პალატამ უკანონო კრება აღმოაჩინა და 7 კაცი დააპატიმრა. იპოვნეს 200 პატრონა და არა ლეგალური ლიტერატურა.

**ელეცი.** გაიფიცა ტყავეულობის წვრილ ქარხნების 3000 მუშა. დიდი ქარხნები მუშაობენ.

**ლონდონი.** გლაზგოდან იუწყებიან, რომ მეზღვაურთა გაფიცვამ ცხარე ხასიათი მიიღო. ატლანტიის გემები უმეზღვაურებოდ დარჩნენ.

**ნიუკესლი.** მაშინების მკვეთებელთა შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტა, თუ ხელფასი არ მოგვიმატეს, გავიფიცნეთო.

**ტოკიო.** სამხედრო სამინისტროში რუსეთ იაპონიის ომის ისტორიის შესადგენად 69 კაცი მუშაობს. ისტორის შედგენა 4 წელს გასტანს.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ინდოეთში ინგლისის წინააღმდეგ მოძრაობა დღითი დღე იზრდება, პენჯაბის სტუდენტები, როგორც ეტყობა, მოძრაობის სათავეში სდგანან. ადგილობრივ გაზეთებში იბეჭდება ხალხის ამაღელვებელი წერილები. მუშები და რკინის გზების მოსამსახურენი გაფიცვას აპირებენ. ინდუსის სტუდენტები ტოკიოში მოძრაობას თანაუგრძნობენ, მაგრამ იაპონიის პრესსა ინგლისის მხარეზეა. იაპონელებს ეს ძლიერა სწყინთ.

**მარსელი.** გამოცხადდა მეზღვაურთა გაფიცვა.

**რომი.** ტერნის სამთო ქარხნების გაფიცულ მუშათა ბავშვები აქაურ მუშების სახლებში მოათავსეს. ბავშვებს ბევრი ხალხი მიეგება და მანიფესტაცია გაიმართა, რომელშიაც პოლიციაც ჩაერია. ერთი პოლიციელი და ერთი ოფიცერი მსუბუქად დაიჭრა, მსუბუქადვე დაიჭრა 5 მუშა და ერთი მძიმედ.

**ეკატერინოსლავი.** დუბოვსკია ბალკის შაბის მაღაროებში ქვის ზვავი ჩამოწვა. ორი მუშა მოკვდა, 9 დაშავდა,

**პეტერბურგი.** ნაშუადღევის 4 საათზე პირველ როტაში ლომბარდის შენობაში შევარდა 7 შეიარაღებული კაცი, «ხელები ასწიეთო», დაიძახეს, კასსას ეცნენ, 4000 მანეთი მოიტაცეს და გაიქცნენ. ერთი კაცი დაიჭირეს და 6-კი მიიმალა,

**ლოძი.** სრედნი ქუჩაზე 6 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა უბნის ზედამხედველს მალინოვსკის, რომელიც ორი სალდათის თანხლებით პოლიციიდან გამოვიდა და სადღაც მიდიოდა. უბნის ზედამხედველი და ერთი სალდათი მოჰკლეს, მეორე სალდათი მძიმედ დაიჭრა.

**მინსკი.** პოლიცია დაეძებდა საარყე დუქნის ფულის ამკრეფის გამძარცველებს. ამ ძებნაში მან აღმოაჩინა ორი საიდუმლო ბინა ს.-რევოლიუციონერებისა. იპოვნეს ფულის დოკუმენტები, ფულის გამოსატან ბარათის პირები, კვიტანციები, სოციალისტურ პარტიის წერილები და არა ლეგალური ლიტერატურა. შეიპყრეს სამი კაცი, ერთი ქალია.

*) რედაქციამ მართლა მიიღო შინაურულის წესით, ქართულად დაწერილი პირობა. ზედ ხელი უწერიათ: თავ. ესტატე ლუკას ძე თარხან-მოურავოვს, თავ. დავით ლუკას ძე თარხან-მოურავოვს, თავ. ვასილ თარახან-მოურავოვს, თავ. ნიკო თარხან-მოურავოვს და კნ. თამარ თარხან-მოურავოვს. მოწმედ აღნიშნულია თავ. ივანე ესტატეს ძე თარხან-მოურავოვი. რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კეფირი ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—13) პატივ. **ო. კორონა.**



**მხოლოდ 1 მ. 50 კ. ვყიდი** და თითქმის მუქთად ჩუქნით!!

ძალზე საინტერესოა! ვუგზავნი მსურველს ფოს-ტადებით -მარკის გასტუმრებით და გამოგზავნით უბეოდ იმ წამსვე, რა წამსაც წერილს მივიღებთ, 10 ცალს იუმორიულ ფოტოგრაფიულ სურათს, მეტად საგულისხმო (პიკანტნი) შინაარსისა. 10 ცალის ფასი 1 მ. 50 კ. 20 ცალი—2 მ. 80 კ. ადრესი Y. Kaliski, Bruxelles rue de l'escalienr, 30. Бельгія.

ვინც ნარდად ბლომად იყიდის, 10%-ს დაუკლებთ. მიწერ მოწერა რუსულს ან გერმანულს ენაზე.

(10—№ 16—8) (Метцль и К° № 15603)

ტფილისის კბილის საექიმო

**სკოლა ლ. შტრეიხერისა**

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი 2½ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—4)

საგაბაშვილო-თხინვალის საგარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ

**იყიდება მიწები**

25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები იყიდება კიდევაც ნაჭრებად და ჩქარა გათავდება. ხელის მომწერთა სიის შესრულებისა და ბეების შემოტანისათანავე მოხდება კენჭის ყრა და ყველას ჩაბარდება თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და ნ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 საათამდე. (15—92—6)

კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

**მ. ე. ფრიდონოვი**

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა,** № 11.

**აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:**

შაბიამანს ინგლისის, საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“.** (50—751—40



**ფეხსაცმელი**

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ

ნაღდათ მკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—27)